**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 64 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 64

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



## ღალატი

თავ. ალ. სუმბათაშვილის დრამა ლეგენდა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა.
წარმოდგენილი იქნება
შაბათს, 13 მარტს
ქართულს თეატრში
ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ

**დაკლებულის ფასებით:** პარტერი 40 კაპ.-დან 1 მ. 50 კაპ.-მდე, გალერეია 20 კ.—35 კაპ., ლოჟები 4 მან. 7 მან.-მდე.

**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.
ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:
1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.
ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.
მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.
პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**


იმერეთის საგუბერნიო სათავად-აზნაურო საკრებულონი შეერთდნენ ომში დაჭრილთა, მოკლულთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად. ამ აზრით გამართულ იქმნა საყოველთაო, წოდება-განურჩეველი ხელის მოწერა შემოწირულებათა მისაღებად. შემოწირულება მიიღება ფულად და ნივთებად. საქმის მოწყობა მიენდო მთავარ-კომიტეტს მოსკოვში. კომიტეტის თავსმჯდომარედ არის მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი პ. ნ. ტრუბეცკოი. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ ნდობამოსილნი კაცნი, ამორჩეულნი თითოეულ გუბერნიის თავად-აზნაურობის-მიერ.

ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საკრებულომაც გადასდო ამ საქმისათვის უკვე ცნობილი რაოდენობა ფულისა და ჰზრუნავს ახლა, მოამზადოს ისეთი ნივთები, რომელიც საჭიროა ქსენონთა და სამხედრო სამკურნალოთათვის.

ნება-ყოფლობითის შემოწირულებათა მისაღებად და დასამზადებელ ნივთთა მასალის შესაძენად შედგენილ იქმნა კომიტეტი გენერალ-მაიორის თ-დის ივანე **სულხანის-ძის ჭავჭავაძის** თავსმჯდომარეობით. წევრად იქმნენ არჩეულნი: თ-დი **ლევ. გ. ჯანდიერი**, **გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი**, **გ. ს. განძიელი** და **დ. ზ. სარაჯიშვილი.**

იმ ქალებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ნივთების დამზადებაში პირადის შრომით მონაწილეობა მიიღონ, სთხოვენ მიჰმართონ ქალთა კომიტეტის სახელოსნოს (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი კნ. ქობულაშვილისა) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

შეწირულებანი მიიღება მხოლოდ თავსმჯდომარის და კომიტეტის წევრთა მიერ.

თავსმჯდომარე კომიტეტისა, თ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე, მიიღებს შემოწირულებასა და იმათაც, ვისაც მასთან საქმე ექნება, ყოველ-დღე 10—12 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობით დ კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

თ. ლ. გ. ჯანდიერი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობითა დ კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

**გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი** მიიღებს ყოველ დღე 10 3 საათამდე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გ. ს. განძიელი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე სამეურნეო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

**დ. ზ. სარაჯიშვილი** მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის კანტორაში (ოლგის ქუჩა), ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

(30—6.—11).


**სადიდმარხვო სეზონი**

ტელეფონი № 617.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 11 მარტს 1904 წ., ქართველ მსახიობთა ამხანაგ. მიერ წარმოდგენილი იქნება

## ხალხის მტერი
ანუ
## ექიმი შტოკმანი

დრამა 5 მოქ. ჰ. იბსენისა, თარგ. ივ. პოლუმორდვინოვისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.
მზადდება წარმოსადგენად შაბათისათვის «ღალატი» დაკლებულის ფასებით.
ამხანაგობის გამგე ვალ. გუნია

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**ხუთშაბათს, 11 მარტს 1904 წელს,**

ქ-ნის დუბროვსკაიას, ბ-ნთ დავიდოვისა, ბრაგინისა და ბუხტოაიროვის მონაწილეობით,

წარმოდგენილი იქნება

## დუბროვსკი

ოპერა 5 მოქმ., მუსიკა ნაპრავნიკისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დუბროვსკაია, ჩიჟოვა, ლელინა; ბ-ნნი: დავიდოვი, ბუხტოიაროვი, ბარაგინი, სელიავინი, ილიუშჩენკო, შმაკოვი, უსინსკი, რაზუმნი.

**რეჟისორი** ა. დ. ბელსკი

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

**ანონსი:** პარასკევს, 12 მარტს, წარმოდგენილი იქნება «ფაუსტი», ოპერა 4 მოქმ. და 5 სურ., მუსიკა გუნოსი. მეფისტოფელის პარტიას შეასრულებს ბარიტონი ა. მ. ბრაგინი.

შაბათს, 13 მარტს, «გალა» წარმოდგენაა. საიმპ. თეატ. არტისტის ა. მ. დავიდოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება «სამსონი და დალილა», ოპერა 3 მოქმედ., მუსიკა სენ-სანსისა.

კვირას, 14 მარტს, ბენეფისი და გამოსათხოვარი წარმოდგენაა საიმპ. თეატრ. არტისტის ა. მ. დავიდოვისა. წარმოდგენილი იქნება: 1) «პაიაცები», ოპერა 2 მოქმ., მუსიკა ლეონკავალოსი; 2) «ჰამლეტი», ოპერა 5 მოქმ., მუსიკა ტომასი (ითამაშებენ მე-2-სა და მე-5 მოქმედებას).

დიდმარხვის მეექვსე კვირაში ბენეფისები იქნება მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა და არტისტის ო. ი. კამიონსკისა.

ოპერა „ლაკმეზედ“ აღებული ბილეთები გამოდგება ოპერა «ფაუსტზედ».

ბილეთები იყიდება.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**
აკაკისა
ფასი 1 მანათი.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—მიხეილოვის პროსპექტი, № 123.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

## პირველი კერძო სამკურნალო
**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

## კერძო სამკურნალო
**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი №** 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**მ. ი. ჩიჩინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისდა ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. მ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274


## ომის ამბები
### დეპეშები და წერილები.

იაპონელების იერიშის მნახველი.—პორტ-არტურის კომენდანტის მოწოდება.—უკანასკნელი იერიში იაპონელებისა.—იაპონიის ფინანსები.—წვრილი ამბავი.—ვლადივოსტოკის ესკადრა.

ერთი რუსის აფიცერი, არტილერისტი, რომელიც 27 იანვარს პორტ-არტურის ომში ყოფილა და შემდეგ ავად გამხდარა, ამ ამბავს ასე მოგვითხრობს «რუს. ვედომოსტში»:

მზიანი დღე იყო. თბილოდა. ზღვა მშვიდად კამკამებდა და სხივებით ფერადდებოდა. შორს რაღაც შავი წერტილები გამოჩნდა. გვიახლოვდება და იზრდება, ერთი, ორი, სამი, ათი, თხუთმეტი. წერტილები ხაზად იქცა. მოგვიახლოვდა და ყავის ფრად შეიმოსა. აგერ 15, 12, 10, 9 ვერსზე მოგვიახლოვდა. თეთრი კომლიც გამოჩნდა... გრიალი მოისმა... ვუყურებთ, თვალს ვადევნებთ, სად დაეცემა ყუმბარა. ჩვენი ბატარეია 40 საჟენის სიმაღლიდგან დაჰყურებს ზღვას. იქ ადმირალის ჯავშნიანი გემი სდგას «პერესვეტი». ტრახ.. აკი მის ბორტთან დაეცა. წყალიდგან დიდი სვეტი აიმართა, მზის სხივებში გაბრწყინდა და გემს გადაატყდა. მეზღვაურნი აქეთ-იქით ეცნენ. აგერ, კვალად კომლი! აბა სად დაეცემა? აკი თავს გადაგვევლო, საზარელ ზუზუნით მთას დაეჯახა, საშინელი გრიალი გაისმა. მესამე კომლი. აბა, თუ სროლა იციან, ეს სწორედ ჩვენ უნდა მოგვხვდეს. სული შეგვეხუთა, ერთი ასეთი წამი მთელი სიცოცხლეა. თითქო უსხეულო იყო, სულ გრძნობდა ხარ გადაქცეული... სროლის დროს თუ პირველმა ტყვიამ მიზნამდე არ მიაღწია და მეორე გადაევლო, მესამე შუა ადგილს უნდა მოხვდეს. იაპონელებმაც ეს ხერხი იციან და სწორედ დაგვიმიზნებენ... ტრახ! ყუმბარა ჩვენს კიდეს დაეჯახა. ვინც დრო აღარ უნდა დავკარგოთ. აგერ ათმა ბატარეიამ ციხიდგან და თორმეტმა გემმა ერთბაშად გასცეს პასუხი მტრის სალამს. ზღვა სულ ადუღდა და აქაფდა; უფროსების ხმა აღარ ისმის, სალდათებს ყურში ჩასძახებენ, მაგრამ სტიქიონს მაინც ვერა სძლევენ, სულ დახრინწდნენ ყვირილით. ბოლი, ორთქლი, მტვერი სულ ერთმანერთში აირია. უცებ საზარელი ხმა მოისმა,—ეს ყუმბარის ნაჭუჭმა სალდათს ცხვირი მოაგლიჯა. სისხლი, სანიტარები, საკაცე... ვგრძნობ, ვიღამაც ხელი მახლო. მივბრუნდი,—გაფითრებული სალდათია. ტუჩები უთრთის. რაღაც უნდა სთქვას და ვერ მოუხერხებია. თითით მანიშნა, ძირს დამეხედნა. მე მივხვდი, რაღაც საშინელი უნდა მომხდარიყოს. ქვემოდ მცირე ბატარეა იყო მსწრაფლ მსროლელ ზარბაზნებისა. ძალიან პატარებია და მეტად კეკლუცია, მაგრამ ამ სირინოზებს შეუძლიანთ ერთს წუთში 12,000 ტყვია ისროლონ. ეს იმ შემთხვევასთვის არის, თუ რომ მტერმა ციხეზე ამოსვლა სცადა. ბატარეა მე მებარა. ჩავირბინე ძირს, მაგრამ რა ვნახე? სულ არეულ დარეულა. ყუმბარები სკდება, როგორც სადღესასწაულო შუშხუნები. ერთს სალდათს შიგნეული გადმოჰშლია, მეორეს თავი გასტეხია, მესამეს ამხანაგები მიათრევენ, საწყალს სამი ნატეხი შერჭობია თავში. ერთი ფოლადის ზარბაზანი გადატეხილიყო, თითქო გამხმარ ბალახის ღეროაო. ყველგან სისხლი და სისხლი... განკარგულება მივეცი. მოკლულები გაესვენებინათ და მე ისევ მაღლა ავედი. იქ ისევ ჯოჯოხეთია.. მაგრამ ყველაფერს ბოლო უნდა ჰქონდეს. ამ ჯოჯოხეთსაც ბოლო მოეღო. იაპონელები გაბრუნდნენ. ბოლი განიბნა. მზემ ისევ მხიარულად გადმოიხედა, მაგრამ რა დაინახა?.. ერთბაშად მოვდუნდი...

ოჰ, რომ გენახათ ჩვენი საწყალი ჯავშნიანი გემები: «რეტვიზანი», «ცესარევიჩი» და «პალლადა», როდესაც ნაღმით გვერდებ შემტვრეულს შიგნით ნავთსადგურში მიათრევდნენ!.. სტიროდნენ ყველანი: მეზღვაურნი, დედაკაცები, სალდათები და აფიცრები... (მოსკ. ვედ.).

—

პორტ-არტურის კომენდანტს გენერალ-ადიუტანტ სტესსელს შემდეგი ბრძანება გამოუცია 6 თებერვალს:

«მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის მოადგილემ შორეულ-აღმოსავლეთში, 28 იანვარს ამა წლისა ბრძანება გამოსცა თავისუფალ რაზმის დაარსების შესახებ.

ამ ბრძანების აღსასრულებლად მოვიწვევ ყველა რუსეთის ქვეშევრდომს, ვინც სამსახურს გარეშეა და კერძო საქმეებით არ არის დაბანდებული, პორტ-არტურის თავისუფალ რაზმში ჩაირიცხოს.

მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ რუსები შორეულ-აღმოსავლეთში, პატრიოტულის გრძნობით გამსჭვალულნი და ერთგულესნი ქვეშევრდომნი არიან სათაყვანო მეფისა და უსაყვარლესის სამშობლოსი. ამისათვის, სრული იმედი მაქვს, რომ თავისუფალი და საღი რუსები პორტ-არტურში სიამოვნებით მიეგებებიან ამ მოწოდებას და ჩაეწერებიან რაზმში.

ამით ცოტაოდნად მაინც შეუმსუბუქებთ თქვენ მოძმე ჯარის კაცებს მძიმე სამხედრო სამსახურის ასრულებას ციხე-სიმაგრის დასაცველად.

რაზმში ჩაწერა შეიძლება საქალაქო პოლიციის სამმართველოში პოლიცმეისტერის მიერ დანიშნულ მოხელეებთან. ჩაწერის ვადა სამი დღე იქმნება ამ განკარგულების გამოცხადებიდგან.

რაზმს სასმელ-საჭმელი და იარაღი ხაზინიდგან მიეცემა და, თუ საჭიროება მოითხოვს, ტანსაცმელიც დაურიგდება“.

—

პორტ-არტურიდგან ნიუ-ჩუანს ლტოლვილმა ქალებმა იაპონელების ესკადრის დაცემის ამბავი მიიტანეს: პორტ-არტურში დიდი ზარალია, 38 კაცი მოკვდა, ასსზე მეტი დაიჭრა. ერთმა ყუმბარამ ქალაქის განაპირას ერთი აფიცერი მოჰ-

კლა და 42 დასჭრა. პორტ-არტურის გარნიზონში 20,000 კაცია.

იაპონელების ყუმბარების შესახებ ექიმ ვანდასთვის «ვარიაგის» დაჭრილ ზღვაოსნებს შემდეგი უამბნიათ: ყუმბარა ნაკუწნაკუწად ილეწება და ახლო მდგომ კაცს სულ ნაფლეთებად აქცევს; შორს-კი თუმცა ბევრს დასჭრის, მაგრამ მსუბუქად. «ვარიაგის» კაპიტანის კიბესთან თვით კაპიტანი იდგა და ოთხი აფიცერი. ერთი აფიცერი, რომელიც იმ ადგილთან ახლო იდგა, სადაც ყუმბარა გასკდა, ერთბაშად გაჰქრა. ეს იყო გრაფი ნიროდი, რომლის ხელი-ღა იპოვეს შემდეგ. ერთს მეზღვაურს 120 ნაჭუჭი მოხვდა ყუმბარისა, მაგრამ მსუბუქად დაიჭრა და მალე მორჩა.

—

იაპონიის ფინანსები 1875 წლიდგან თანდათან გამოკეთებულა. შემოსავალ-გასავლის მიმდინარეობა ასეთი ყოფილა, ათას იენებით რომ ვიანგარიშოთ:

| წლები: | შემოსავალი: | გასავალი: |
|---|---|---|
| 1875—76 | 63,777 | 56,613 |
| 1883 84 | 76,426 | 67,914 |
| 1893—94 | 85,883 | 64,546. |

როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, შემოსავალი სჭარბობს გასავალს, რომელიც ცოტათი ან სულაც არ იზრდებოდა, თუმცა ამაშიაც ბევრი საგანგებო ხარჯია, ქვეყნის გასაუმჯობესებლად მოხმარებული.

ფინანსების გაუმჯობესებას სახელმწიფოს ვალის რაოდენობაც ამტკიცებს, რაც შემდეგ ცნობებიდგანა სჩანს:

| | ქაღალდის ფული: | სარგებლიანი ვალი: | სულ |
|---|---|---|---|
| 1875 | 99,072 | 56,418 | 155,490 |
| 1883 | 97,999 | 237,424 | 335,423 |
| 1893 | 16,407 | 261,138 | 277,545. |

ქაღალდის ფული სწრაფად მოსპობილა და მისი ადგილი ოქროსა და ვერცხლს დაუჭერია. რაც შეეხება სარგებლიან ვალს, მარტო ფეოდალურ წესის მოსპობის დროს მიწის გამოსასყიდად სახელწიფოს გაუღია 225.910,350 იენი, ასე რომ ეს თანხა ხარჯადაც-კი არ უნდა ჩაითვალოს. ამას გარდა, 1893 წლისათვის იაპონიის მთავრობას 885 კილომეტრი რკინის გზა გაუყვანია, რომელიც 1892—1893 წელს წმინდა მოგებას იძლეოდა 2.414,433 იენს.

საერთოდ იაპონიის ფინანსები რიგიანად მოეწყოო,—ამბობს «მოსკ. ვედომოსტი»,—ქაღალდის ფულის ფასი თანდათან მაღლა იწევდა და სახელმწიფო ხაზინას ემატებოდა კრედიტი, რომელიც დამყარებულია ქვეყნის ეკონომიურ წარმატებაზეო.

იაპონიის მთავრობა ოფიციალურად იუწყება, რომ ომისათვის ნაღდად ჰქონდა დამზადებული 567.000,000 იენი. აქედგან 4 მარტამდე დახარჯულა 60.000,000 იენი. («ნოვოსტი»).

—

მარკიზი იტო სეულში დიდის ამბით მიუღიათ. ჩემულპოში კორეის უმაღლესი მოხელეები მიჰგებებიან და მთავრობის სახელით მშვიდობით მიბრძანება მიულოცინათ. იქიდგან საგანგებო მატარებლით წასულა სეულისაკენ. თან გაჰყოლიან იაპონიისა და კორეის დიპლომატები, მეზღვაურნი, სარდლები და უფროსი მოხელენი. სეულის სადგურთან დიდძალი ხალხი დაჰხვედრია და ალტაცება გამოუცხადებია. იქიდგან ეტლით წასულა და იმპერატორის ბრძანებით საგანგებოდ მოწყობილ სასახლეში ჩამომხდარა. იმავე დღეს მარკიზი კორეის იმპერატორს წარუდგა. («რ. ვ.»)

—

სეულიდგან სწერენ უცხოეთის გაზეთებს, ვითომც კორეის დასავლეთ ნაწილში, მდინარე იალუსა და პხიენ-იანს შორის, 5,000 ჯარის კაცის მეტი არა ჰყავდეს რუსეთს; აღმოსავლეთით-კი მდინარე ტუმენსა და გენზანს შორის—2,500. ეს ჯარიც პატარა რაზმებად არის დაყოფილი და აქეთ-იქით გაგზავნილი დასაზვერავად. როგორც ეტყობა, რუსებს ისეთი გეგმა შეუდგენიათ, რომ ერთსა და იმავე დროს შეუტიონ კორეის ორთავე მხარეს და იაპონელები აიძულონ ორად გაჰყონ თავისი ჯარი. მაშინ რუსები მანჯურიისაკენ დაიწევენ და თან იაპონელებს შეიტყუილებენ. ამით იაპონიის ჯარი უნდა დიდ მანძილზე გაგრძელდეს, რომ პხინ-იანთან და გენზანთან კავშირი არ შესწყვიტონ. («პ. ვ.»).

—

იაპონიის ელჩს გაიაშს უთქვამს ერთ ჟურნალისტისათვის ლონდონში, —არა მგონია, ბრძოლის ველიდგან მალე მოვიდეს საყურადღებო ცნობებიო. უამინდობის გარდა, კორეასა და მანჯურიაში ისეთი საძაგელი გზებია, რომ ჯარის გადაყვან-გადმოყვანას მეტად გააძნელებს. სადაც მოსალოდნელია მეომართა ჯარები ერთმანეთს შეხვდნენ, სწორედ იქ ისეთი უგზოობაა, როგორც ევროპაში ყოფილა ორას სამასის წლის წინად. ამიტომ, ჯარები მეტად მძიმედ დაუახლოვდებიან ერთმანეთს და შეტაკება მალე არ მოხდება (იქვე).

—

ვლადივოსტოკის ესკადრის უფროსი კონტრ-ადმირალი შტაკელბერგი ძალიან გაუცხარებია იმ ცრუ ამბებს, ვითომც რუსეთის ფლოტი მტრის დასახვედრად მომზადებული არ იყო და თავისი გულის წყრომა გაზეთ «რუსის» თანამშრომლისათვის გაუზიარებია.

«პორტ-არტურის ესკადრა ერთის წლის წინად იყო საომრად გამზადებული; ვლადივოსტოკისა-კი, — მისვლისთანავე. მე კარგად ვიცნობ ვიცე-ადმირალ სტარკს და დარწმუნებული ვარ, რომ ტყუილად სდებენ ბრალს, ვითომც პორტ-არტურის ესკადრა არ შეამზადაო. ეს ხმები უსაფუძლოა.

წარსულ წლის სეკტემბრიდგან მე ჩემის ესკადრით ვლადივოსტოკში ვიდექი. ჩვენ, შორეულ-აღმოსავლეთის განაპირას მოდარაჯე მეზღვაურნი, დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ომი აუცილებელია და გვიკვირდა, რუსეთის მწერლობა რატომ არას ამბობს იაპონიის მზადების შესახებ. უცხოელ გაზეთებში, რომლებიც კი ჩვენ მოგვდიოდა, სულ ომზე იყო ლაპარაკი და ჩვენც ველოდით. მე პირადად დარწმუნებული ვიყავი, რომ ომი იანვარში კი არ დაიწყებოდა, არამედ უფრო ადრე.

როდესაც ვლადივოსტოკში ამბავი მოვიდა, პორტ-არტურზე იერიში მიიტანა იაპონიამაო, მე ავად ვიყავი და ესკადრის უფროსობა კაპიტან რეიცენშტეინს გადავეცი. 27 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე, თანახმად უფროსის ფლაგმანის მოწერილობისა, ჩემი ესკადრა ზღვაზე გავიდა. ესკადრაში იყო «როსსია», „გრომობოი“, „რიურიკი“ და „ბოგატირი». მესამე დღეს ესკადრა ნიპონთან მისულა, სუნგარის ყურესთან ორი იაპონელთა გემი დაუჭერია; ერთი სავაჭრო გემი, რომელსაც კონტრაბანდად ბრინჯი მიჰქონდა, ჩვენმა ესკადრამ დაჰლუპა, ზღვაოსნები კი, სულ ორი კაცი, ჩვენს კრეისერზე გადმოიყვანა. მეორე სანაპირო გემი კი ესკადრის უფროსმა გაანთავისუფლა.

— რად?

— დიდი ღელვა ასტყდა და გემთან მისვლა არ შეიძლებოდა, რომ მეზღვაურნი გადმოესხა, და თვით გემიც სახარბიელი არ იყო. ამასთანავე, კაპიტან რეიცენშტეინს უნდოდა მტრისთვის ეცნობებინა, რომ ახლო ვართ. ესკადრის მიმოსვლას და მოულოდნელად მტერზედ თავს დასხმას მხოლოდ ზნეობრივი ზედგავლენა აქვს, მტერს გამბედაობას უკარგავს. კრეისერებს სათარეშო დანიშნულება აქვთ, თორემ ჯავშნიან გემებთან ბრძოლა არ შეუძლიანთ.

— ხაკოდატეს ყუმბარა რად დაუშინეთ?

— არც კი გვიფიქრია. ხაკოდატე კარგაა გამაგრებული. მიკვირს, ეგ ჭორი ვის გაუვრცელებია. («რუს»).

# ტფილისი

*** დღეს, 11 მარტს, საღამოს რვა საათზედ, კრება ექმნება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. კრებამ საბაღოსნო სკოლის მმართველის არჩევის შესახებ უნდა მოილაპარაკოს.

*** უმაღლესს მთავრობას გადაუწყვეტია 38,000 მანეთი გადასდოს ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის შენობის გასაფართოვებლად.

*** აზრადა აქვთ, საერთო საავადმყოფო აავონ ქალაქის შუაგულ ადგილში. საავადმყოფოს შენობის გეგმის პროექტი უკვე შეადგინა განსაკუთრებულმა კომისიამ. პროექტს დღეს განიხილავს სასანიტარო სამკურნალო საბჭო და შემდეგ ქალაქის გამგეობას გადაეცემა განსახილველად.

*** 9 მარტს შეერთებული კრება იყო ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა. კრებამ მსჯელობა იქონია იმის შესახებ, თუ რა წყაროებიდგან შეაგროვოს 400,000 მანეთი, რომელიც საჭიროა ქალაქის ქუჩების საუკეთესოდ მოსაკირწყლავად. ხმოსანმა ჩერქეზიშვილმა წინადადება მისცა კრებას, ქალაქის მცხოვრებთ მონაწილეობა მივაღებინოთ ქუჩების მოსაკირწყლავად ხარჯის გაღებაშიო. ამის უფლება გვაქვს საქალაქო დებულების ძალითაო. ამნაირად წელიწადში 100,000 მანეთს მივიღებთ, ასე რომ, ოთხის წლის განმავლობაში შევაგროვებთ იმდენს ფულს, რამდენიც საჭიროა ამ საქმისათვისაო. ზოგიერთებმა კრებას ურჩიეს, დასაფასებელი გადასახადი გავადიდოთო. დასასრულ, კრებამ დაადგინა, მონაწილეობა მიაღებინონ ქალაქის მცხოვრებთ ხარჯის გაღებაში.

*** აგრონომი ტიმოფეევი ტფილისიდან ქუთაისის გუბერნიაში გაემგზავრა, სადაც ღონისძიებანი უნდა მიიღოს სიმინდის პეპელის წინააღმდეგ.

*** 13 მარტს ტფილისის გეოგრაფიულ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებაა დანიშნული. კრება მოისმენს ინჟენერ ნ. ნ. პილცოვის მოხსენებას.

*** აღდგომის შემდეგ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის მოწაფეთა ერთი გუნდი სოფ. კასპში გაემგზავრება, თავ. ერისთავის მამულში სამუშაოდ.

*** ტფილისის სავაჭრო სკოლის სამზრუნველომ მთავრობას სთხოვა, ნება მოგვეცით სავაჭრო სკოლაში კედელზედ ჩამოვკიდოთ სურათი ა. ი. მანთაშევისა, რომელიც სკოლას დიდ ნივთიერ დახმარებას აძლევსო. მთავრობამ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

*** განჯაში გამართულ საღამოს, რომელიც «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ გაიმართა, წმინდა შემოსავალი 300 მოუცია. აქედგან 200 მან. წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ გადაიდება 100 მან.-კი რუსეთის წითელის ჯვრის სასარგებლოდ.

*** სამოსწავლო უწყებას გადაუწყვეტია, მომავალ წლიდან ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში 30 პანსიონერის მაგივრად იყოლიოს 60.

*** ხვალ, 12 მარტს, მკურნალი ბლიუმენტალი მეორე ლექციას წაიკითხავს საარტისტო საზოგადოების თეატრში ჭლექის შესახებ

*** ამ დღეებში წარედგინება დასამტკიცებლად გუბერნატორს ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება ხორცის ნიხრის მომატების შესახებ.

*** დიდუბის საავადმყოფოს შენობის შესაკეთებლად და მოსაწყობლად ქალაქის გამგეობამ 1,200 მანეთი გადასდო.

*** ქალაქის ქუჩების საუკეთესო სისტემით მომკირწყვლელმა კომისიამ შეადგინა ინსტრუქცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ამ კომისიის წევრებმა.

*** 1903 წლის 1-ლ ივლისიდან 1904 წლის 1-ლ იანვრამდე ქალაქის ქუჩები მრავლად მოუკირწყლიათ. ამ საქმეზე სულ 40,068 მ. დახარჯულა. ქუჩების მომკირწყველ კომისიას აზრად აქვს, ძელსაც მრავლად მოკირწყლოს ქუჩები. ამ საქმეს, დაახლოვებით, 240,000 მანეთი მოუნდება. ამ საგნის შესახებ კომისიამ მოხსენება შეადგინა და მომავალ ორშაბათს საბჭოს წარუდგენს განსახილველად.

## ლექცია

დ-რის ბლუმენტალისა.

გუშინ-წინ, 9 მარტს, არტისტიულ საზოგადოების თეატრში, ექიმმა ბლიუმენტალმა წაიკითხა თავისი პირველი ლექცია ჭლექით ავადმყოფობის შესახებ. ლექტორმა ცხადად დაუმტკიცა საზოგადოებას, თუ რა დიდი ზარალი მოაქვს ამ სენს კაცობრიობისათვის. არც ერთს ომს, არც ერთს შიარუქს (ეპიდემიას) არ შეუძლიან შეიწიროს იმდენი მსხვერპლი, რამდენსაც ეს საშინელი სენი იწირავს ყოველ-წლივ და უჩუმრად. უმეტეს ნაწილად ეს სენი მძვინვარებს ღარიბთა შორის, რომელნიც გადამეტებულ შრომასთან მოკლებულნი არიან სუფთა ჰაერს და კარგს სმა-ჭამას. უფრო ძლიერ ედება ეს სენი იმ მუშაკთ, რომელნიც მთელი დღე დახშულ ჰაერსა და ნაკეტიანს ოთახში მუშაობენ, ვიდრე ისინი, რომელნიც, თუნდ სამძიმო გარემოებაშიაც იყვნენ, მაინც ცის ქვეშ იმყოფებიან მუშაობის დროს და თავისუფალს ჰაერს ჰყლაპავენ.

რკინის გზის ყველა მოხელეთა შორის, უფრო მეტი ხდება ავად ამ სენით ტელეგრაფისტებთაგან, შემდეგ — მმართველობის მოხელეთა შორის, ხოლო ყველაზედ ნაკლები—რემონტის მუშათა შორის. ამის დაგვარად, ქალაქებშიაც, იქ უფრო ვრცელდება ჭლექი, სადაც უფრო ნაკლები სისუფთავითა და სიწმინდით ინახება ქალაქი, მაშინაც-კი, როცა ამ ქალაქის ჰაერი ბევრად უმჯობესია უფრო სუფთად შენახულ ქალაქის ჰაერზე. ლექტორმა მაგალითად მოიყვანა, სხვათა შორის, ორი ქალაქი: ნეაპოლი თავის ნინებულის ჰაერით და ლონდონი მისის ნისლ-ბურუსით. პირველში ჭლექით უფრო მეტი ხდება ავად, ვიდრე მეორეში.

ლექტორი ამტკიცებდა, რომ ჭლექი შესაძლოა, განიკურნოსო. ამისთვის საჭიროა მთელმა საზოგადოებამ, ქალაქის მმართველობამ და სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებამ ერთმანეთს მხარი მისცეს და მედგრად გაუმკლავდნენ ამ ონავარს მტერს შეერთებულის ძალ-ღონით. ამიტომ არის საჭირო დაწესება სანატორიებისა, სადაც ავადმყოფებს შეეძლებათ მთელი დღე სუფთა ჰაერზედ გაატარონ, არ აკლდეთ შესაფერი და უვნებელი ჭამა-სმა და შეგნებული ექიმის მოვლა და ყურადღება.

ლექცია მოწყობილი იყო მრავალის საინტერესო ბუნდოვანის სურათებით.

თეატრი სავსე იყო დამსწრე ხალხით, რომელმაც ლექტორი ტაშის ცემით დააჯილდოვა მშვენივრად წაკითხულის ლექციისათვის.

შემდეგი და უკანასკნელი ლექცია ამავე საგნის შესახებ იქნება იმავე თეატრში პარასკევს, 12 მარტს.

# ჩვენებური ამბები

**ს. მარელისი** (იმერეთი). «ერთი ჭირი მარგებელიაო», რომ იტყვიან, ისე მოგვიკიდა ჩვენებურებს. რომ შევატყეთ, ვენახმა პირი აღარ ჰქმნა ჩვენსკენაო, მივდექით ისევ მიწის ბრუნებას და ამერიკის დამყნილი ვაზის რგვასა. ამ მიწის ბარუნებით მრავალი საისტორიო-საარქეოლოგიო მასალაც შეგროვდა. არა ერთგზის გაგვიგონია; ამა და ამ სოფელში, მიწის თხრის დროს, აღმოჩნდა ესა და ეს ძველი ნაშთი, ნივთი და სხვანიო.

ამ ჟამად გვინდა მივაქციოთ ყურადღება მკითხველებისა ერთის მემამულის ნაამბობზე: სადგურ მარელისიდამ 4 ვერსის სიშორეზე არის სოფელი დეისი. ამ სოფელში აქვს მამული, სხვათა შორის, რკინის გზის მოხელეს დ. ტყეშელაშვილს, რომელმაც პირის-პირ აი რა გადმოგვცა, თვისის თვალით ნახული საკუთარს მამულში: როდესაც მუშებმა სავენახე მიწა ერთს ალაგზე ამოთხარესო,—სთქვა იმან, —შენიშნეს ქვევრები, დიდი და პატარა, დაკირული დ. დაუკირავი, იმათ ახლო-მახლოს ეპოვათ კიდევ რამოდენიმე ლიტრა, რომელთაგანაც ორი მთელი ამოიღეს. ერთი მთელი ლიტრა კაცის ჩონჩხიდამ, ბაყვებში ჩადებული, მთლიანად ამოეღოთ. ძლიერ ხშირად შეხვედრიან კაცის ძვლებს, ზოგი ცალკცალკე და ზოგიც მთელი ჩონჩხი. ამ ადგილის ახლოს, ცოტა ზემოდ, კაპეზედ მდგარა ეკლესია, საჯვარედ წოდებული. იქ თურმე წელიწადში ორჯერ იხდიან «სამღვთოს», ერთხელ აპრილში და მეორედაც მაისშიო.

ამ ადგილის დაშორებით, ასე 30 საჟენზე, ზემოხსენებული მემამულე შეხვედრია ერთს ფრიად შესანიშნავს ისტორიულ ნაშთს, სახელდობრ ვერცხლის ფულს, რომლის ერთს გვერდზედა გამოხატულია კაცის თავი, პირ-ტიტველა, დაფნის გვირგვინით თავზე, შემდეგის წარწერით: divifpate... sas... დანარჩენი წარწერა მიწას შეუჭამია. მეორე გვერდზე გამოხატულია ორი მხედარი იარაღით, ემბლემა მხედრობისა. ქვეშასე აწერია: elcaesari .. გარშემო წარწერა აღარსად ამჩნევია. ჩვენა გვგონია, რომაული ფული უნდა იყოს, მხოლოდ არ ვიცით, რომელი მეფეა და რომელის საუკუნისა.

იქნება ამა თუ იმ დროს ჩვენში გასავალი ჰქონდა რომელსამე უცხოეთის მეფის ფულსა, ალბად, რადგან უცხოელების ხელში ვიქნებოდით!! ისტორიის მკლევართათვის მიგვინდვია ამის გამოცნობა. კარგს იზამს დ. ტ—შვილი, რომ ამ ფულს წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირავდეს.

ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი აი რა გადმოგვცა ამ კაცმა: «ერთს ალაგასაო,—სთქვა მან,—როდესაც რამდენსამე გოჯზე მიწა გავთხარეთ ვენახის დასაწინდათ, აქა-იქ შევხვდით ერთად მიწყობილს საშენებელ მშვენიერს ლურჯს ქვებსა, იქვე ვნახეთ კირი; როდესაც უფრო მუყაითად ვიწყეთ მუშაობა, ერთის ადლის სიღრმეზე წავაწყდით ქვით კირის დიდის სახლის საძირკველს და ერთს კუთხეში ბუხარსა, რომელშიაც იდვა რამდენიმე ნახშირად ქცეული მუგუზალი. ჩანს, აქ უცხოვრია ვილასაც, მაგრამ რა დროს და ან ვინ იყვნენ იქ დაბინავებულნი, ეს ჩვენთვის გამოურკვეველი რჩება! იქნება ქრისტეს მოსვლამდე, რამდენისამე საუკუნის წინად, აქ სცხოვრობდნენ, შემდეგ გადაირეცხა წყლისა, მეწყერისა და, შეიძლება, მიწის ძვრისაგან და 1 ადლზე გამოჩნდა მერე შენობები ძლიერ კარგი იქნებოდა, ჩვენი არქეოლოგ-ისტორიკოსები და გეოლოგებიც მიაქცევდნენ ყურადღებას ამ ადგილს!!..

კოტე გრძელი.

—

**ს. საკირე** (ახალციხის მაზრა). უწყიან ეთუოდ მკითხველებმა ვინაობა და ადგილმდებარეობა ს. საკირისა, საქართველოს ერთის კუთხისა, სამხრეთის მაარისა. ეს სოფელი აწყურის საზოგადოებას ეკუთვნის, მდებარეობს ერთს მიკუნჭულსა და მივარდნილს ადგილას, სადაც დაფენილია სოფელი ას კომლად, გარს შემოხვეულია მთები, თითქოს განგებ ორმოა ამოღებულიო. აქ მცხოვრებნი არიან თავ-აღებულნი ხალხნი და უცნობნი დიდისა და პატარისა. ისე წელიწადი არ გაივლის, რომ აქ არ მოხდეს შემაძრწუნებელი კაცის კვლა ან დაჭრა. გავრცელებულია ძლიერ ლოთობა, ქურდობა, და მეზობლის ღალატს ხომ სამზღვარი არა აქვს. ეს იმის მიზეზია, რომ აქაურნი მცხოვრებნი სხვა-და-სხვა ჯურის ხალხია—ზოგი აქაური მკვიდრია, მართლმადიდებელი და მაჰმადიანი, ზოგს ქრისტიანობა მიუღია, ზოგი კიდევ მაჰმადიანობაზე დარჩენილა. ბევრნი საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდგან გადმოსახლებულა, მაგალ., ოსეთიდგან, სამეგრელოდგან, იმერეთიდგან და ქართლიდან; ესენი ბატონყმობის დროს ბატონებს გამოჰქცევიან და მალვით დასახლებულან ამ მთებში. მუდამ შურის-ძიება აქვთ მეზობლებთან. არავისი დარიგება და სწავლა არ ეყურებათ.

სოფლებში არსებობს ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელშიაც არის დანიშნული მასწავლებლად ოცის წლის ნამსახური მასწავლებელი ბ. ხაჩიძე, კაცი მშვიდი და კეთილის დამრიგებელი, მაგრამ თქვენი მტერი, რომ ხალხს იმისიც არაფერი არ ესმის; საზოგადოება სკოლის შესანახ ფულს არ იხდის და, სამწუხაროდ, ბავშვებს მაინც არ ატარებენ სკოლაში. მომეტებულნი სულ იმის ფიქრში არიან, თუ ვის რა მტრობა გაუწიონ, მეზობელი როგორ გადასწვან და სხვ. აი, ერთს წელიწადში აი რამდენი სახლი და საბძლები დასწვეს: იოსებ ბლიაძეს დაუწვეს სახლი და საბძელი, ილიკო აიწურაძეს—სახლი, ბაყოლაშვილებს — ბოსელი, პ. გოგოლაძეს—საბძელი და სხვ.

არა იშვიათია აქ ისიც, თუ ქალი როგორ მოიტაცონ, ვინ გააუპატიურონ, მასწავლებელი როგორ აალელვონ, რა ხერხი უპოვნონ იმას, რომ სკოლა დაჰკეტონ და უფრო თავისუფლად და უუფროსოდ, რაც უნდათ, ის ჩაიდინონ.

აქამდე საკუთარი მღვდელი არა ჰყავდათ. ახლა-კი საკუთარი მღვდელი დაენიშნათ. იმედი ვიქონიოთ, რომ მღვდელი და მასწავლებელი ყოველის ღონისძიებით ეცდებიან და ნელ-ნელა მოაშლევინებენ ხალხს ავ ზნე-ჩვეულებას.

კოტე ფასანაურელი.

—

**ქ. ოზურგეთი.** (გურიის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის «შუამავლის» საზოგადო წლიური კრება).

ამხანაგობის კრება დანიშნული იყო 15 თებერვლისათვის, მაგრამ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა და გადაიდო 22 თებერვლისათვის. თუმცა 22 თებერვალსაც წევრთაგან მესამედიც არ დასწრებია, მაგრამ კრება კანონიერად ჩაითვალა და განიხილეს რამდენიმე საგანი. განსახილველი იყო: 1) ამხანაგობის 1903 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 2) არჩევა ერთის გამგეობის წევრისა და ორის კანდიდატისა. სარევიზიო კომისიის მოხსენება და განხილვა იმ საგნებისა, რასაც კრება წარმოადგენდა. კრებას თავჯდომარეობდა ქალაქის მოურავი დ. ცეცხლაძე. კრებამ განიხილა ამხანაგობის ყველა ანგარიშები.

ეხლა ამხანაგობას აქვს: 14,079 მან. 54 კაპ. ქონება. ვალი აქვს 5705 მან. 76 კ., ქონებაში შედის 3,210 მ. 45 კაპ., რომელიც სხვა-და-სხვა კაცებზეა განისიებული და ჯერაც არ აუღიათ.

ანგარიშის განხილვის შემდეგ, კრებამ დაიწყო ლაპარაკი იმაზე, თუ რანაირად შეიძლება ამხანაგობის გამობრუნება, რა საშუალება გამოინახოს, რომ ამხანაგობა ფეხზე დადგეს და განაგრძოს თვისი მოქმედება. მოგეხსენებათ, თუ რანაირად ჩაიდუპა ამხანაგობა უოფილის მმართველის ბ-ნ ჭეიშვილის წყალობით და რამდენი ვალები დაედვა. რო-

გორც იყო, დიდის ვაიგაგლახით, კამოსტაცეს ხელიდგან ბ-ნ ჭეიშვილს სამარისაკენ მიმავალი ამხანაგობა და მას შემდეგ, როგორც არის, მიჩანჩალებს თავისს დაგლეჯილს სიცოცხლეს, მაგრამ რა დღეს, რა ხვალ,—სულს დალევს, თუ რამე საშველი არ აღმოუჩინეს.

ამ ორისა, თუ სამის წლის განმავლობაში, გამგეობისა და კერძო კაცების მეცადინეობით სესხულობენ ფულს (ნაღდი ფული არაფერი არ დარჩენია ამხანაგობას), ყიდულობენ აბრეშუმის თესლს, პარკს და ამით, რამდენადაც-კი შესაძლებელია, ასრულებინებენ ამხანაგობას თავისს დანიშნულებას, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის. პარკის ყიდვა-გაყიდვაში რასაც მოიგებს ამხანაგობა, ის ნასესხებ ფულისა და ჭეიშვილის დატოვებულ ვალების (რომელიც 8,000 მანეთამდე იყო) პროცენტების გასტუმრებას, და სხვა ხარჯებს უნდება (ნუ დავივიწყებთ, რომ ეხლანდელი გამგეობა სრულიად უჯამაგიროდ მსახურებს) და ფულად ამხანაგობას აღარაფერი რჩება. ამ საშუალებით ამხანაგობის ფეხზე წამოყენება შეუძლებელი ხდება. ამხანაგობას სად შეუძლიან პარკის ყიდვა-გაყიდვით (ან იმისთვის-კი უთვლეთვის ფულებს ამისთვის?) იმდენი მოიგოს (ისეც ხომ შეიძლება, რომ წააგოს?), რომ ამდენი ვალი გაისტუმროს, ყველა ხარჯები დააკმაყოფილოს და შემდეგში საჭირო ფული დარჩეს კიდევ. სანამდე ეს მოხდება, «პეტრეს ტყავი გაძვრება»! მოვალეებიც ამდენს აღარ დაიცდიან, ფულს მოითხოვენ, ამხანაგობას ფული არ ექნება და ერთ მშვენიერ დღეს, რაც ქონება აქვს, საჯაროდ გაიყიდება და სრულიად მოისპობა ხსენება, ამხანაგობისა რომელიც დიდი და ძალიან დიდი სასარგებლოა ჩვენის ქვეყნისთვის.

ამიტომაც იყო, რომ ხსენებულს კრებაზედ, სხვა საგნების გადაწყვეტა დროებით გადასდეს და მხოლოდ იმ საგანზე ილაპარაკეს, თუ რა საშუალებით შეიძლება ამხანაგობის გამობრუნება. კარგა ხნის თათბირის შემდეგ, კრებამ გამონახა ერთი საშუალება და დაადგინა: ამოირჩიოს ხუთი კაცი, რომლებსაც დაავალონ, სულ მცირე ხნის განმავლობაში შეაფასოს, რა ღირს მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ამხანაგობისა და გამოიკვლიოს, რამდენი ნამდვილი წევრი ჰყავს. საშუალება, რომლითაც ამხანაგობის გამობრუნებას ფიქრობენ, ეს არის: როცა კრების მიერ ამორჩეული კაცები ამხანაგობის ქონებას შეაფასებენ და წევრთა რაოდენობას გამოიკვლევენ იმ ქონებიდან დაკმაყოფილებულ იქმნება ყველა მოვალე და რაც დარჩება, გაყოფილ იქნება ვარაუდით წევრთა შორის, და რამდენიც მოუწევს თითოეულს წევრს, უნდა შეასრულოს ამ თავითვე ათ მანეთად და რადგან საწევრო ფული, წესდების ძალით, 30 მანეთია, დანარჩენი 20 მანეთი შემოიტანოს ორის წლის განმავლობაში. მაგალითად, თითო წევრს შეხვდა ხუთი მანეთი, ხუთი მანეთი კიდევ უნდა შემოიტანოს ეხლა და დანარჩენი შემდეგ, და თუ ვინიცობაა, ქონება იმდენი დარჩა ამხანაგობას, რომ თითო წევრს 10 მანეთი ან მეტი მოუწია, მაშინ ფულის შემოტანა ეხლა აღარ იქნება საჭირო. ამას გარდა, ახალი წევრებიც უნდა შეიძინოს ამ სახითვე ამხანაგობამ. ერთის სიტყვით ამხანაგობა ხელმეორედ უნდა განახლდეს. საბოლოოდ ამ საგნის გადაწყვეტა შემდეგ კრებისთვის იქმნა გადადებული. ამ ერთად ერთის საშუალებით, რომელიც ზემოდ მოვიხსენეთ, თუ შეიძლებ ამხანაგობის გამობრუნება, ხოლო იმ სახით, როგორც ეხლა მოქმედებს.

აქ საჭიროდ აღარ მიმაჩნია ვილაპარაკო იმის შესახებ, თუ რანაირად სასარგებლო და საჭიროა ხალხისათვის ამ ამხანაგობის არსებობა და მოქმედება; ვიტყვით მხოლოდ, რომ იმედია, ყველა წევრნი ამ ამხანაგობისა და აგრეთვე გარეშენიც, რომელთაც-კი სურთ რომ ეს ამხანაგობა არსებობდეს და ხალხს სარგებლობა მოუტანოს, ზურგს არ შეაქცევენ ამ საშუალებას, რომლითაც სურთ ამხანაგობის გამობრუნება, არ დაიშურებენ კიდევ თავიანთ წვლილს საზოგადოების საკეთილდღეოდ, კრებასაც დაესწრებიან და, თუ ეხლანდელ კრების გადაწყვეტილების თანახმა არ იქნებიან, თავიანთ აზრს იტყვიან მაინც და სხვა საშუალებას გამონახავენ...

შემდეგი კრება დანიშნულია 9 მარტისათვის, სხვა საგნებიც მაშინ უნდა განიხილონ.

უსუფ-ალი.

## რუსეთი

როგორ უნდა მიუშველოს ბალტიის ესკადრა ვლადივოსტოკისას?

ერთმა ინგლისელმა, გვარად ნორმანმა, გამოაცხადა ამას წინად, რომ რუსეთის ესკადრას, რომელიც ბალტიის ზღვაში სდგას, პეტერბურგის მახლობლად, ადვილად შეუძლიან ყინულის ოკეანეში გავიდეს, სულ რუსეთის კუთვნილ წყლებში იაროს, გაიაროს ბერინგის სრუტე, ალიასკას მახლობლად, და შეუერთდეს ვლადივოსტოკის ესკადრასაო. რა საჭიროა, უსათუოდ, სუეცის არხით გაიგზავნოს ეს ესკადრა, როდესაც ეს გზა უფრო შორს ულის (13,500 მილია) და ყინულის ოკეანეთი-კი შემოკლდება მანძილი, სულ ცოტა, 5,500 მილითაო.

ნორმანის აზრი იუცხოვა გაზეთ «რ. ვედ.»-ში ერთმა სპეციალისტმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მაგ გზით ესკადრის სიარული ჩვენი დაღუპვა იქმნებაო. იქ, ჩრდილო ყინულის ოკეანეში, მუდმივი ყინულია. ყინული თუ ლხვება, ძალიან ცოტას ხანს, ორის კვირით, აგვისტოში. მაშინაც სულ არა, არამედ ნახევრად. დიდითოშები ყინულის, მთის ოდენები, სცურავს ზღვაში, ოდნავ მოშორებული დედამიწასაო. ესკადრის ტარება ასეთს ზღვებში შეუძლებელია, სადმე ჩაიჭედება ყინულში, თუ ოდნავ ყინულებმა უსწრო, და მეორე ზაფხულამდე იქ ჩარჩება, ომში გამოუსადეგარი იქნებაო.

ეს წერილი «რუს. ვედ.»-ისა ისეთის საბუთიანობითა და საქმის ცოდნით იყო დაწერილი, რომ ყველას ეგონებოდა, ინგლისელმა ნორმანმა ეშმაკობით ხომ არ ურჩია, ასეთი, გზა აერჩია რუსეთს თვისის ესკადრის გასაგზავნად ჩრდილო-ყინულის ოკეანეზეო. ამის გამო ის სიხარული, რომელიც გამოიწვია პირველად ნორმანის აზრმა რუსეთში, მალე გაჰქრა და კვლავ დაიწყეს ფიქრი, როგორ მოხერხდეს, რომ შორეულს აღმოსავლეთში გაიგზავნოს ეს ესკადრაო.

მალე აღმოჩნდა, რომ ნორმანის აზრი არც ისე აუსრულებელია და ჩრდილო-ყინულიანი ოკეანე არც ისე გაუვალია გემებისათვის, როგორც ეგონათ ზოგიერთებს. «ნოვ.»-ში დაბეჭდილია ამ საგნის შესახებ აზრი გენ.-მაიორის ა. ი. ვილნიცკისა. ვილნიცკი დიდი მცოდნე ყოფილა ამ საქმისა, ბევრჯერ ყოფილა ჩრდილო-ექსპედიციაში, შეუსწავლია 1200 მილის მანძილზედ ზღვა და გადაჭრით ამტკიცებს, რომ ამ მანძილზედ ჩრდილო ოკეანე ადვილი სასიაროლოა ხომალდებისათვისაო. სწორედ ეს მანძილი მიაჩნდათ ძნელად გასავლელ გზად, ახლა-კი ისეა შესწავლილი, რომ წერტილიც აღარ დარჩენილა გაუსინჯავ-გამოუკვლეველი. დანარჩენი მანძილი უფრო ადვილი სავალია, იმიტომ, რომ, რაც უფრო აღმოსავლეთად მიიწევსო, უფრო ნაკლებია ყინულიანი მთები და გორები. ნორდენშელდმა ხომ შესძლო და მოვიდა თითქმის ბერინგის სრუტემდე? ასევე მოიქცა ბარონ ტოლიც. ერთის სიტყვით, ბალტიის ესკადრას ადვილად შეუძლიან მივიდეს ვლადივოსტოკსა და პორტ-არტურს ჩრდილო-ყინულიან ზღვით და შეიმოკლოს ამგვარად მანძილი 5,500 მილით. ქვანახშირიც ბევრია იქ, სახელდობრ: სოფელ დუდინსკშიო. სიცივეც იმ თვეებში, როცა სიარული შეიძლება, ნულზე ზევითა სდგას და, მაშასადამე, არც ზარბაზნებსა და არც გემებს ყინული არ მოეკიდება გარშემოო.

## ნარკვევი

ა. სუვორინი გაზ. «ნოვოე ვრემია»-ში სცდილობს გამოარკვიოს საზოგადო მნიშვნელობა დღევანდელის ომისა რუსთათვის.

არა ერთხელ გამოუთქვამთ მწერლობაში ის აზრი, რომ ვითომ დღევანდელი ომი უსარგებლო ომიაო. გაზ. „ტაიმსიც-კი უსარგებლოსა და ძნელს უწოდებს. რუსთა შორისაც ლაპარაკობენ ამას. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ყოველი ომი არა თუ უსარგებლოა, არამედ მავნებელიც არის, იმიტომ, რომ ომი საზოგადოდ ყოვლად ძნელი, დამაუძლურებელი რამ არის სახელმწიფოსათვისაც და თითოეულის მოქალაქისათვისაც.

მაგრამ ომი უკვე დაწყებულია. სწარმოებს ომი სამძიმო, შავ-ბნელი. მარტო ეს გარემოება კმარა, რომ აღარავითარი ლაპარაკი აღარ იყოს რაიმე ლიკვიდაციის შესახებ. ლიკვიდაციაზე ლაპარაკი იმას ემგვანება, რომ ჩვენვე ვსთქვათ, უძლურნი ვართო; შუა-კაცობის შეწყნარება ის იქნება, რომ ჩვენ ვაღვიაროთ ჩვენი არარაობა იაპონიის წინაშეც-კი და ვიცადოთ, როდის დასმენ რუსეთს ბრალდებულთა სკამზედ და გამოაცდევინებენ ახალს დამცირებას, უფრო მწარეს, ვიდრე ის დამცირება იყო, რომელიც ბერლინის კონგრესზედ გამოგვატარეს.

ჩემის აზრით, რუსეთისათვის ამ ომს დიდი და დიდი მნიშვნელობა აქვს. იქნება ნაადრევია მეტად უეცრად თავს-დატეხილი, მაგრამ მნიშვნელობა-კი ფრიად დიდი აქვს ჩვენი ქვეყნისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ რუსეთს არ შეუძლიან უარ-ჰყოს და უკუ-აგდოს თვისნი სურვილნი და მისწრაფებანი, ეს სურვილი და მისწრაფება-კი უკვე გათვალისწინებულია გინდ კაცთა ნებით, გინდ ისტორიის ნებითა, როგორც გინდათ, ისე იანგარიშეთ კაცნი ისტორიას უნებურად ემორჩილებიან. დიდ ოკეანეს ნაპირი, რომელიც დავიჭირეთ,—საბოლოო მისწრაფება, საბოლოო ნატვრათ იყო ჩვენ მიერ ქვეყნების დამპყრობელობისა. დიდი ოკეანე თბილის ზღვით, რომელიც არ იყინება, იყო საზღვარი ჩვენის სამხედრო გამრჯელობისა, ეგ იყო მტკიცე და საბოლოო ნავთ საყუდელი ჩვენის სახელმწიფოსი.

საჭიროა თუ არა ჩვენთვის მანჯურია? ამის პასუხს რუსეთი იტყვის მაშინ, როცა ომი მისის ძლევა-მოსილებით გათავდება. ამაზედ ადრე, უამისოდ, ვერას ვიტყვით მაგის პასუხად. ორში ერთი: ან ჩვენ დიდი სახელმწიფო გვაქვს, რომელიც ამაოდ არ ეტანებოდა აზიას საკულტურო აზრით, ამაოდ არ ჰხარჯავდა თვისის ერის ძალ-ღონესა და ფულს და იმედი ჰქონდა მისის განვითარებისა და რუსის გონების ძლიერებისა; ან არა და ყოველივე ესე იყო ღრმად ტრაგიკული გაუგებლობა, ხოლო განათლებულ ქვეყნებისათვის—ტრაგედია-კომიკური ოცნება, ღირსი დაცინვისა. აი რანაირი ბედის-საწერელია დღეს ჩვენთვის გადასაწყვეტი.

თუ გავიმარჯვებთ, გავიმარჯვებთ და ვძლევთ არა მარტო იაპონიას, არამედ ყველა იმ ქვეყნებსაც, რომელიც შეგვიძენია ორის საუკუნის განმავლობაში,—ვძლევთ ევროპის ცრუ-მორწმუნოებას, რომ ვითომ რუსეთს არა შეუძლიან-რაო. თუ ვერ გავიმარჯვებთ, მაშინ დაძლეულნი ვიქნებით მთლად ქვეყნიერობის წინაშე; დაძლეულნი ვიქნებით ოსმალეთისათვისაც, კავკასიისათვისაც, ჩვენის შუა-გულ აზიის სამფლობელოებისათვისაც, ბალკანეთზედ რაიმე გავლენისათვისაც, მთლად სლავიანობისათვისაც, რომელიც ისე უცქერის რუსეთს, როგორც უფროსს და ძლიერს ძმას; და, დასასრულ, დაძლეულნი ვიქნებით ყოველ სხვა ჩვენის მტრისათვისაც. აი, როგორ არის საქმე. და დარწმუნებულიცა ვარ, ასეც იქნება და არა სხვაფრივ. ან ყოფნა და არსებობა ჩვენი, ან საშინელი სირცხვილი და დამცირება!

## თეატრი და ხელოვნება

### ქართული თეატრი.

იშვიათის სიამოვნებით ვიწყებთ კვირის, 7 მარტის, წარმოდგენის ანგარიშს, იმიტომ, რომ მან საუცხოვოდ ჩაიარა და ამაში წილი უდევს როგორც მსახიობთა მწყობრს, მოფიქრებულს თამაშობას, ისე პიესის ღირსებასაც, რომელიც ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ, დრამატიულ კომიტეტის რეპერტუარიდგან უსამართლოდ განდევნილი, გამოსძებნა და საზოგადოებას გააცნო. უსამართლობა იქნებოდა ჩვენის მხრით საყვედური არ გამოგვეცხადებინა დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მიმართ, ამისთანა პიესის უკუგდებისათვის, რადგანაც დრ. საზოგადოებამ იმდენი უგემური საზრდო მიაწოდა ქართველ მაყურებელ წარსულ სეზონში, მაგრამ კმარა ისიც, რაც ითქვა, მით უფრო, რომ «წამხდარსა საქმეს რას არგებს მერმელა თითზედ კბენანი».

«ცხოვრების გარედ», თანამედროვე სცენები ვ. პროტოპოპოვისა, თარგმნილი თეოფ. შველიძის-მიერ, დიდის თანაგრძნობით იყო მიღებული რუსულ მწერლობის მიერ, როგორც ფრიად ჰუმანიური პიესა, რომელსაც თავისს საგნად ისეთი მწვავე აზრი აუღია, როგორიც არის დამოკიდებულება ბატონთა და თანამედროვე ცხოვრების უკანონო შვილთა, მოსამსახურეთა, შორის. პიესაში ხელოვნურად არის გამოყვანილი ორივე მხარე, ბატონებიც და მოსამსახურეებიც. სინამდვილის ღრმა ცოდნა ეტყობა ავტორს, რომელსაც ერთის კალმის მოსმით აღუბეჭდავს მწარე ტკივილი დღევანდელის ჩვენის ცხოვრებისა, საზიზღარი კონტრასტები ადამიანის მდგომარეობაში, როცა ერთი, ბედის წყალობით, ცხოვრების მეჯლისზედ სუფრის თავში წამოსკუპებულა, ხელთ უგდია უფლება სიხარულისაც, ბედნიერებისაც, მეორეს-კი ის-ღა დარჩენია, რომ ხელი შეუწყოს მისს ბედნიერებას, ემსახუროს მისს სურვილებს და ჯუარი სთქვას თავისს პირად უფლებებზედ და, ესე გაშინჯეთ, ადამიანობაზედაც-კი.

ბატონთა წარმომადგენელნი პიესაში არიან პეტრე ალექსანდროვიჩ ტატარცევი (კ. ყიფიანი) და მისი შვილები, ელენე პეტროვნა (რონელი) და იური პეტროვიჩი (სვიმონიძე).

ესენი «ბედს საქოჩრეზე ასხედან», დროს ატარებენ ისე, როგორც სურთ და თანამედროვე საგნებზედ ბაასობენ. ელენე პეტროვნასა და მისს დედას თავის მოღვაწეობის საგნად პირუტყვთა უფლების დაცვა გაუხდიათ. ელენე პეტროვნა არც ერთს კრებას არ აკლდება, საცა-კი ამ უფლებაზედ არის ლაპარაკი, და თავ-გამოდებული წინააღმდეგია მეცნიერებაში ცნობილის ეგრედ წოდებულ ვივისექციისა.

ასეთისავე «პროგრესიულ» აზრთა კაცია იურიც. ის არ აკლდება არც ერთს ოპერას, დროს გატარებას და წინდაწინვე დასახულს მისწრაფებას ცხოვრებისას მტკიცედ ემსახურება. მას წინდაწინვე გადაწყვეტილი აქვს განათლებული და მილიონის პატრონი მემამულე ქალი, ნატალია კონსტანტინოვნა (როსტომაშვილი), შეირთოს და განცხრომით გაატაროს დღენი

ამ «პროგრესიულ» მოღვაწეობაში გართულთ ელენეს და იურის, რაღა გასაკვირველია, რომ სრულებით არ აგონდებათ იმ ხალხის ინტერესები და უფლებანი, რომელნიც შემთხვევას მათ მოსამსახურეებად გაუხდიათ.

მათის შეხედულობით, მოსამსახურე იმიტომ არის გაჩენილი, რომ სხვის სამსახურში თავისი ყოველი სურვილი დაივიწყოს. თუ ბატონმა მოისურვა, მოსამსახურემ უარი უნდა სთქვას ოჯახზედაც, პატიოსნებაზედაც, იმიტომ, რომ მოსამსახურის პატიოსნება სხვა არის და ბატონისა—სხვა. სიყვარული მოსამსახურეებმა სხვანაირი იციან, ბატონმა სხვანაირი, სამზარეულო, ტაფა, მაშა და მოსამსახურე ერთისა და იმავე ფასისანი არიან ბატონის თვალში და ბატონს სრული უფლება აქვს ისია მოვნოს, დრო გაატაროს, გადააბიჯოს ყოველს ღირსებას მოსამსახურისას და უკანასკნელს ჩივილის ნებაცკი არა აქვს, იმიტომ, რომ ბატონი—ადამიანია, მოსამსახურე-კი —არა.

მშვენივრად, ზოგ ადგილას ძლიერს დრამატიზმით დახატულია პიესაში ეს კონტრასტი უფლებათა, ეს შელახვა ადამიანურ ღირსებისა ადამიანისაგანვე.

ელენე პეტროვნა ერთხელ ღამის სამს საათზედ კრებიდან მობრძანდება სახლში და თან მშიერს ლეკვს მოიყვანს.

ის მოურიდებლად აღვიძებს მოხუცებულს მზარეულს ოსიპს (ვ. აბაშიძე), უბრძანებს ლეკვისთვის რძის გაცხელებას და როცა ოსიპი განაცხადებს, რომ მას მეტი უფლება უნდა ჰქონდეს ლეკვზე, ელენე პეტროვნა გაცხარებული ემუქრება დათხოვნას სამსახურიდან, საცა მას ორმოცი წელიწადი გაუტარებია.

უკეთესი არც იური ბრძანდება. ამ ვაჟბატონს თავისის პირუტყვულ ვნებათაღელვის დასამშვიდებლად ყმაწვილი მოახლე ქალი პოლია (მღივანი) დაუსახავს, ეშმაკურად აცდენს მას და როცა საქმე იურის დანიშნამდის მივა, ის იშორებს ყმაწვილ ქალს და თავის მამის ხელით ას თუმანს გადაუყრის საწყალ მსხვერპლს მისის უმანკოების საფასურად, და როცა პოლია უარს ამბობს ფულზედ, ვინაიდან სიყვარული, მისის აზრით, ფულით არ იზომება, პეტრე ალექსანდროვიჩი, სახტად დარჩენილი, ვერ მიხვედარა, რომ სიყვარულსა და ცხოვრებაზედ მოსამსახურე გოგოსაც შეუძლია იქონიოს ისეთივე აზრი, რომელიც მას და მისს თანამოაზრეთ თავისს პრივილეგიად, კუთვნილებად გაუხდიათ. საწყალი პოლია, შელახულის გრძნობებით, შეურაცხყოფილი ადამიანურის ღირსებით, შორდება თვისს გამხრწნელს და ცხოვრებაში გზა-შეკრული იმ გზას დაადგება, რომელსაც ასობითა და ათასობით ადგებიან დღევანდელის ცხოვრების გამხრწნელთა მსხვერპლნი.

ასეთივე აუტანელია მეორე მოახლის, დუნიას (ა. კარგარეთელი), ყოფაც ამ ვაჟბატონთა ხელში, რომელნიც მეცნიერებაში ცნობილის ვივისექციის მედგარნი წინააღმდეგნი არიან; ლეკვის უფლებას მზად არიან შესწირონ თავისი ძალ ღონე და ადამიანთა შესახებ-კი არავითარ ვივისექციას არ ერიდებიან.

დუნიას აქვს საკუთარი ოჯახი. ჰყავს ქმარ-შვილი. მათის დახმარებისათვის დაუწყია მოახლეობაც.

მაგრამ რა ჰქნას, რომ ამ ოჯახურ სიამოვნებასაც უნდა მოიკლდეს ის, თუ უნდა ადგილი შერჩეს? რა ჰქნას, როცა ის, ყმაწვილი ქმრის მოყვარული ქალი, იძულებულია ქმრის ნახვის სურვილზედ აიღოს ხელი, რადგანაც მას ეგ აკრძალული აქვს, და ასე თანდათან ის ჰკარგავს ყოველნაირ კავშირს ოჯახთან, ქმრის ალერსს მოკლებული დუნია იაკობ ლაქიის საყვარლად ხდება და ეკარგება ის ზნეობრივი სიფაქიზე, რომლითაც ძლიერია ყოველი ადამიანი. გაქელვა ღირსებისა, დაგმობა ადამიანურ მოთხოვნილებისა და უფლებისა—აი რა ხდის აუტანლად დღევანდელ მოსამსახურეთა ხვედრს, აი რას გვიჩვენებს ჰუმანიური პიესა ვ. პროტოპოპოვისა.

«ადამიანები არ ვყოფილვართ, ადამიანები»!—აი რა მწარე ამოკვნესით ათავებს თავისს ხანგრძლივს, დაბეჩავებულს სიცოცხლეს მზარეული ოსიპი, აი რა აღსნა მოსამსახურეთა ბედისა ჩაჰყვება მას თან სამარეში. პიესა ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზედ, აფიქრებს მას, ზიზღსა ჰგვრის იმ წესის მიმართ, რომელსაც ერთის ადამიანის მეორესაგან დაჩაგვრა დაუკანონებია, ჩვეულებრივ მოვლენად გაუხდია.

სამწუხაროდ, პიესის ასეთის გავლენის ქვეშ კვირას ძლიერ ცოტა ხალხი დაესწრო, თეატრი თითქმის ცარიელი იყო. სანანურად უნდა დარჩეს ყველას, ვინც არ დაესწრო წარმოდგენას, რადგანაც, ვიმეორებთ, მთელის სეზონის განმავლობაში ერთი-ორი პიესა თუ იყო ისეთის შინაარსით სავსე, როგორიც არის «ცხოვრების გარედ».

იმედია, ეს პიესა სარეპერტუარო პიესად შეიქმნება, მით უფრო, რომ, როგორც ზევითა ვსთქვით, ჩვენი მსახიობნი იშვიათის ანსამბლითა და თანხმობით თამაშობენ.

ყველანი კარგები იყვნენ ამ საღამოს, რაც ყველასათვის, ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენ მსახიობთა თამაშობას, იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ქ. ყი—ნი

## წერილი

### რედაქციის მიმართ

ჩვენ კაი ხანია დღევანდელ მეპურეთა უსტაბაშს ვიცნობთ. კაი ხანი ებრძოლა ბ-ნ სეროფიანცს, რომ უსტაბაშის ადგილი ჩაეგდო, მაგრამ მის მოურაობაში არა ეშველა რა, გამოიცვალა სეროფიანცი და ბედმაც გაუღიმა ამ ბატონობის მოტრფიალეს. ჩვენ შემთხვევა გვქონდა ბისი ბძანება-ბატონობისათვის ყური დაგვეგდო. მე, მე იცით ვინა ვარო, ეუბნებოდა რამდენისამე ამქრის კაცს:—მე თქვენი ბატონი, თქვენი მბძანებელი ვარ. რასაც გიბძანებთ, ჩემს ბრძანებას უნდა დაემორჩილნეთო. რომ გიბრძანებთ, თოკში გაჰყავით თავი, მზად უნდა იყვნეთ, ცეცხლში, წყალში გადაცვივდეთ,—კვლავ მზად უნდა იყვნეთ, თორემ თავზედ მეხსა დაგეცემათო.

ესა და მრავალი სხვა, იმის ბედნიერის ენით არიან წამოთქმულნი და სწორედ მიზეზიც ეს იყო, რომ ფუთზედ აბაზი მოუმატეს პურს აგერა სამი კვირაა. ასე თავქეიფაათ ჭყიდიან ამ ისედაც გაჭირვებულ დროს, როგორც დღესაა. გაზეთში ვკითხულობთ, ფქვილი იმავე ფასებშია და რამ აიძულა ეს ძველი ბატონი და მბრძანებელი რომ კანონის წინააღმდეგ მიჩინდრიკობას.

დროებითი მეთვალყურე ხელოსანი.

## „ივერიის“ ფოსტა

**მღვ. ბ. ვ—ძეს.** თქვენმა წერილმა ძლიერ დაიგვიანა და ამიტომ ვეღარ ვბეჭდავთ.

—**პ—ს.** თქვენი წერილი «ახალი ნოტის გალობა» არ დაიბეჭდება.

**ბათუმს. ბ—ს.** „გულ-წრფელი პასუხი სადაო კითხვაზე» არ დაიბეჭდება.

**ხადგური გრიშინო. გ. უ—ვის.** თქვენი ნაპოვნი ლექსი არ დაიბეჭდება.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 მარტი.

**შანჰაი.** («რეიტერის სააგენტო»). ათასმა კაცმა, რომელთაც კონტრაბანდით გააქვთ ბარგი, აჯანყება მოახდინეს და იმათ წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარი დაამარცხეს 30 მილის მანძილზე ჯუნკინგის სამხრეთით, ცშუვანის პროვინციაში; ჯარს 16 კაცი მოუკლეს, დანარჩენნი გაიქცნენ. ჯუნკანის მთავრობა შემწე ჯარს უგზავნის.

**ლონდონი.** («რეიტერის სააგენტო»). ჯუმბში, იმალაის მთებში, იატუნგას ახლო, მიწის ზვავი ჩამოწვა და ქვეშ მოიტანა ბრიტანიელები, რომელნიც იქვე ახლო მუშაობდნენ. სამი მოკლულია და ოთხი მძიმედ დაშავებული.

**ნეაპოლი.** ხმელთა-შუა ზღვის ესკადრა ხვალ აქ მოვა გერმანიის იმპერატორის მისაგებებლად.

**ტავასტგუსი.** 12 კაცმა გამოაცხადა შორეულს აღმოსავლეთში წასვლის სურვილი; აგრეთვე ზოგიერთმა ქალებმაც დაჭრილთა და ავადმყოფთა მოსავლელად.

**ირკუტსკი.** 9 მარტს, დილით, მატარებელი გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა ბაიკალის სადგურზე მოვიდა. მანჯურიის ჯარის უფროსის ვაგონში შევიდა გზათა მინისტრი, შემდეგ გენერალ კუროპატკინმა მიიღო სამღვდელოების დეპუტატი და ქალაქის თავი, რომელმაც გადასცა გენერალს 12 ათასი მანეთი მისს

განკარგულებაში. მანჯურიის ჯარის უფროსი ჩაჯდა მარხილში, რომელშიაც შებმული იყო რუსულად სამი ცხენი, და თავის ამალით გასწია სადგურ ტანხოისკენ. გენერალ-გუბერნატორი ირკუტსკში დაბრუნდა.

**კანნი**. სადღესასწაულო წარმოდგენამ, რომელიც აქ გაიმართა კანნაში რუსეთის დაჭრილთათვის სახლის ასაგებად, კარგად ჩაიარა.

**სტამბოლი**. («კორესპ. ბიურო»). დებულება მაკედონელ ლტოლვილთა დასაბინავებლად, რომელიც შეიმუშავა გენერალ-ინსპექტორმა და სამოქალაქო აგენტებმა, პორტამ მოიწონა, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა გვიანდება ჟანდარმერიის საქმის გამო, რომელიც ილდიზკიოსკსა და პორტას არ მოსწონთ.

**ბერლინი**. როგორც ხმა ისმის, პოლკოვნიკ შტურმას დანიშვნა სერბიის მეფის პირველ ადიუტანტად, უარ-უყვიათ.

**სტამბოლი**. პასუხი პორტასი ჩააბარეს რუსეთისა და ავსტრიის ელჩებს. პორტა მხოლოდ აჭიანურებს საქმესა. ელჩები მაინც ითხოვენ, კონტროლისა და ოსმალეთის აფიცრებს დათხოვნის ნება ჰქონდეთ მაკედონიის ჟანდარმერიიდან. დიპლომატები ჰფიქრობენ, ბოლოს პორტა დასთანხმდებაო.

**პეტერბურგი**. 9 მარტს, ღამე, გარდაიცვალა პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი გოლოვინი.

10 მარტი.

**პეტერბურგი**. მეფის მოადგილის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, 9 მარტს მუკდენიდგან გამოგზავნილი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელზე: «როგორც გენერალი მიშჩენკო იუწყება, 4 მარტს მზვერავმა რაზმებმა, ანჩჟიუს ახლო, შენიშნეს, რომ ჩინ-ჩან-ზინას მარცხენა ნაპირას, ქალაქის პირდაპირ, გაკეთებულია მტრის სანგრები. იონგბენ მი მტერი ჯერ არ ყოფილა. როგორც ჰკონიათ, ანჩჟიუში ერთი დივიზიაა, დანარჩენი ნაწილი პირველ ჯარისა-კი პენიანში. მოგვივიდა ამბავი, პაკჩენში მტრის ორი ესკადრონი მოვიდაო; მაშინათვე იქით ჩვენი ორი სოტნა გავგზავნეთ, რომ მტერი მდინარე პანჩეგანზე არ გადმოეშვათ. ამ სოტნებმა მდინარის მარცხენა ნაპირზე შენიშნეს მტრის სამი ესკადრონი; ამათ დაინახეს თუ არა ჩვენი რაზმი, უომროდ დაბრუნდნენ ანჩჟუსაკენ. იაპონიის ესკადრონებში სულ 190 ცხენია სხვა-და-სხვა ჯიშისა. ღამე, 6 მარტს, ჩვენი ცხენის ფოსტის მიმტან-მომტანები შეეხ[illegible]ნენ კასანსა და ჩენჟუს შუა იაპონელთა მზვერავებს, რომელთაც სროლა აუტეხეს, მაგრამ უვნებლად გადარჩნენ. როგორც იუწყებიან, მტრის სამასმა ცხენოსანმა 6 მარტს იონგბენი დაიჭირა. ანჩჟიუში დამზადებულია მასალა ხიდების ასაგებად ქალაქის ჩრდილო და სამხრეთ მხარეებზე. როგორც გენერალ-ლეიტენანტი სტესსელი იუწყება, შუაღამისას, 9 მარტს, პროჟექტორების სინათლეზე გამოჩნდნენ მტრის ნაღმოსნები, რომელთაც ჩვენმა სადარაჯო გემებმა და შემდეგ ციხის ბატარეებმაც სროლა დაუწყეს. სროლა 20 წუთს გაგრძელდა. ესევე გამეორდა ღამის ოთხ საათზე. $6^1/_2$ საათზედ დილით, სამხრეთით მტრის ოთხი გემი გამოჩნდა, შემდეგ მთლად ესკადრა, რომელშიაც 11 ჯავშნიანი გემი და 8 ნაღმოსანი იყო, ჩვენი ესკადრა გარე რეიდზე გავიდა მტრის შესახვედრად. 9 საათზე მტრის ჯავშნიანმა გემებმა ლიაოტეშანის მხრიდან რამდენიმე ყუმბარა ისროლეს და შემდეგ დაუშინეს ყუმბარები პორტ-არტურსა. დანარჩენი ამბავი არ მომსვლია. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას».

**პეტერბურგი**. მეფის მოადგილის დეპეშა, 9 მარტს მუკდენიდგან გამოგზავნილი: «როგორც კიდევ იუწყება გენერალ-ლეიტენანტი სტესსელი, მტრის ესკადრაში, რომელიც პორტ-არტურთან გაჩენილა ითვლებოდა ექვსი ჯავშნიანი გემი და 12 კრეისერი. ასე დილის ცხრა საათზე, ესკადრა ორად გაიყო: ჯავშნიანი და ნაღმიანი გემები დადგნენ ლიაოტეშენისა და მტრედისფერ ნავთსადგურ შუა, კრეისერები-კი ორ ჯგუფად—სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით პორტ-არტურიდგან. ცხრა საათსა და 20 წუთზე «რეტიზვანმა» დაუწყო სროლა მტრის ჯავშნიან გემებს, ამათაც 9 საათსა და 40 წუთზე დაუწყეს ქალაქს სროლა. ამასობაში, ჩვენი ესკადრა თანდათან გადიოდა გარე რეიდისაკენ. ასე, 11 საათზე, სროლამ იკლო. იაპონიის ესკადრა შეერთდა, მძიმედ წავიდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და 12 საათზე და 30 წუთზე დაგვშორდა. სროლის დროს ნაპირას ხუთი ჯარის-კაცი მოჰკლეს, 8 დაიჭრა და ერთიც გაიკენწლა».

დეპეშა მეფის მოადგილისა, 9 მარტს გამოგზავნილი მუკდენიდან მისს უდიდებულესობასთან: „ფლოტის უფროსმა ამ თარიღით პორტ-არტურიდან შემატყობინა შემდეგი: დღეს, შუაღამისას, მტრის ორი ნაღმიანი გემი გარე-რეიდს მოადგა. შენიშნეს პროჟექტორებით დაუწყეს სროლა როგორც ბატარეებიდგან, ისე სადარაჯო ნავებიდგან „ბობრიდგანა“ და «ოტვაჟნიდან»; ამიტომ მათ უკან დაიხიეს. მეორე თავდასხმა დილის ოთხს საათზე იყო; მონაწილეობას იღებდა მტრის სამი ნაღმიანი გემი, მაგრამ უკუ აქციეს. დილით სხვა-და სხვა მხრიდან მოგვიახლოვდა მტრის გემთა სამი რაზმი, რომელშიც იყო ექვსი ჯავშნიანი გემი და 8 ჯავშნიანი კრეისერი. 7 საათზე ჩვენმა ესკადრამ დაიწყო შიდა რეიდიდგან გასვლა; წინ კრეისერები გავიდნენ, იმათგან «ასკოლდი» ჩემის დროშით, შემდეგ მიჰყვნენ ჯავშნიანი გემები. მტრის ჯავშნიანი გემები ლიაოტეშანთან მოვიდნენ და ასი ყუმბარა ესროლეს თორმეტ დიუმიანის ზარბაზნებიდგან პორტ-არტურსა და ას რვა—მიდამოებსა. ჩვენი ყუმბარები კარგად სწვდებოდნენ; 10 საათზე ერთი ყუმბარა მოხვდა ჯავშნიანს გემსა, ამის შემდეგ ის წავიდა. ესკადრაზე არავინ დაგვკლებია. სროლის გათავებამდე, ასე დილის 11 საათზე, მტრის ყველა გემები შეერთდნენ, ჩაუარეს გარე რეიდს წავიდნენ და ჩვენს ესკადრაზე იერიში არ მოუტანიათ.

**ნიუ-ჩუანი**, 8 მარტი («რეიტერის სააგენტო»). დილით, 7-დან $7^1/_2$ საათამდე, ისმოდა ზარბაზნების ხმა სამხრეთით 6 მილის მანძილიდგან.

**სეული**. იტომ კორეის დაწესებულებათ მისცა 5 მილიონი იენი სესხად. კორეის მთავრობა იაპონელ მაღალ მოხელეებს იწვევს სამსახურში. იმპერატორის სასახლეში ახალ წესებს შემოიღებენ.

**შანჰაი**. ნიუ-ჩუანელი ინგლისის კონსული იუწყება, ჩინელები ქალაქიდგან წავიდნენო. ქალებსა და ბავშვებს კონსულმა შთააგონა, რომ ისინიც ასე მოიქცნენ.

**ტიან-ძინი**. («რეიტერის სააგენტო»). ვაივუპუმ მიჰმართა უცხო სახელმწიფოთ შუამდგომლობით, რომ სამხედრო კონტრიბუციის გადახდის ვადა ერთის წლით გააგრძელონ.

**ვენა**. გაზეთში დაბეჭდილი ცნობანი, ვენაში რუსეთის ელჩის რუს კორესპონდენტთან ბაასის შესახები, სინამდვილეს არ ეთანხმება.

10 მარტი

**ომსკი**. გენერალ-გუბერნატორის თაოსნობით შესდგა თანხა, უნდა აშენდეს თავ-შესაფარი აქაურ ობოლთა და მხედართათვის, რომელნიც მოქმედ ჯარში არიან; თანხა უკვე ათი ათას მანეთამდე ავიდა და თანდათან ემატება.

**მუკდენი**, (საკუთარის კორესპონდენტისაგან). პორტ-არტურზე თავ-დასხმა 9 მარტს. მოდგა-რა ციხესკენ, მტრის ესკადრა გაიყო: ექვსი ჯავშნიანი გემი ნაღმიანებით დადგა ლიაოტეშანსა და მტრედის ნავთსადგურ-შუა, ისე რომ ჩვენი ყუმბარა ვერ დასწვდებოდა; კრეისერები ორ ჯგუფად გაიყვნენ და დადგნენ სამხრეთით პორტ-არტურიდგან. ათის ნახევარზე „რეტვიზანმა“ სროლა ასტეხა; მტრის გემებმა პასუხი გასცეს. დილის 11 საათზე მომეტებული ნაწილი ჩვენის გემებისა გარე რეიდზე გავიდნენ. მტერმა შესწყვიტა სროლა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წავიდა. ნაპირზე ხუთი კაცია მოკლული, 9 დაიჭრა და ერთიც გაიკენწლა.

**ორიოლი**. თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებამ გარდასწყვიტა შეაერთონ შემოწირულებანი ორლოვის თავად-აზნაურობისა სხვა გუბერნიების თავად-აზნაურთა შეწირულებასთან სამხედრო საჭიროებათათვის, თავის მხრივ გადასდო 29,500 მ. საზოგადო კასისთვის მოსკოვში და წარმომადგენლად აირჩია გუბერნიის წინამძღოლი სტახოვიჩი. ამასთანავე დაადგინეს აირჩიონ ადგილობრივი კომიტეტი ფულებისა და ნივთების მოსაგროვებლად, დააარსონ გუბერნატორ ტრუბნიკოვის სახელობაზე სტიპენდია თავად-აზნაურთა პანსიონ-თავშესაფარისა და წარედგინოს შინაგან საქმეთა მინისტრს დასამტკიცებლად.

**პარიჟი**. აქ მოვიდა ბარონ როზენი, ჟურნალისტები სალაპარაკოდ არ ინახულა. ის რამდენიმე დღე დარჩება პარიჟში. მოვიდნენ აგრეთვე სივერსი და სხვები, რომელნიც პეტერბურგს მიდიან.

---

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

---

**პეტერბურგის ბირჟა**

5 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . | 93,85 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | 45,85 |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,60 |
| ბერლინში „ . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . . | $37,62^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | $6—7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | $93^3/_4$ წ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . . | $91^1/_4$ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 371 წვრ. ნის. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 310 ნის. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 270 ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . . | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . | $87^3/_8$ წვრ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 87 წვრ. გაყ. |

---

**რკინის გზის მიმოსვლა.**

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათომს**: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს**: 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს**: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

**ბ) ბათომიდან გამოდის:**

**ტფილის-ბაქოსაკენ**: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

**გ) ბაქოდან:**

**ტფილის-ბათომისაკენ**: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

**დ) ქუთაისიდან:**

**ბათომისაკენ**: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ**: ღამის 3 ს. 58 3 წ

**ე) შორაპნიდან:**

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ**: 1) დილის 6 ს. 58 წ 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

**ვ) დარკვეთიდან:**

**შორაპნისაკენ**: 1) დილის 11 ს. 48 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

---

# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

**ს. ბ. თოფურიას**

**სამკურნალოში**,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებია სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

ხალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16[illegible] გვ ფასი 30 კაპ.

---

ს.-პეტერბურგის კომპანია

# „ნადეჟდა“

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავ ილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** . . . . . | **1.650.000 მან.** |
| **სათადარიგო თანხა** . . . . . | **2.664.808 მან.** |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა უოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—22)

---

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

# „მწყემს“-ზე

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე

XIX

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ | 3 მ. | ორივე გამოცემა | . 5 მ. |
| სამკურნალო ფურცლის დამატებით . . | 4 მ. | 6 თვით „მწყემსი“ | . 2 მ. |
| რუსული . . | 3 მ. | რუსული . . | 2 მ. |
| | | ორივე გამოცემა | . 3 მ. |

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ს ესტატე ლამბაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებ. წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში—ბლაღოჩინ პამა არ. კალანდარაშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად**.

რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.**

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

---

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლის ყველა

# მოდის ჟურნალებზედ

**ი. ა. კოზენის კანტორაში**

მოსკოვს, ალექსანდროვის პასაჟში.

1904 წლის ხელის მომწერთათვის უფრო ხელ-საყრელია და ვურჩევთ გამოიწერონ შემდეგი საზღვარ-გარეთის ჟურნალები, რომელნიც სხვებისაგან განირჩევიან შინაარსის სიმდიდრით, სურათების სიმშვენიერით და ნიმუშთა სიმარტივე-სიფაქიზით. ესენი არიან შემდეგნი:

## „პარი მოდ“

რომელიც ჰღირს მთელის წლით 18 მ., ნახევარის წლით 9 მ. 50 კ.

## „სალონ მოდელი“

ჰღირს მთელის წლით 7 მ. 50 კ., ნახევარის წლით 4 მ.

## „ტუალეტ მოდერნი“

მთელის წლით ჰღირს 8 მ., ნახევარის წლით 4 მ.

## „შიკ დე პარი“

მთელის წლით ჰღირს 16 მ., ნახევარის წლით 8 მ. და, დასასრულ,

## „ვინერ მოდენ ალბომი“

მთელის წლით ჰღირს 17 მ., ნახევარის წლით 9 მანეთი.

ყველა ეს ზემოხსენებულნი გამოცემანი, შედარებით სხვა ჟურნალებთან, იაფია; ამასთანავე, ეს ჟურნალები იძლევა ნიმუშთა აღწერას და მოდების ქრონიკას რუსულს ენაზედ, განსაკუთრებით ჩვენ ისხელის მომწერთათვის სპეციალურის შეკვეთისადაგვარად. ყველა ხსენებულ ჟურნალში მოთავსებულია ნიმუშად კორსაჟები, კოფთები, ხალათები, კაპოტები და სხვა-და სხვა ტანსაცმელები; ესენი მოთავსებულია როგორც ჟურნალში, აგრედვე ორს პირველ მარტისა და პირველ ენკენისთვის სპეციალურს ალბომ-პრემიაში. ამათ გარდა, თვითეულს №-თან ეგზავნებათ გამოჭრილი ფურცელი (ნახატებით) და «ვიკრიოკა» ნამდვილის სიდიდის ზომისა. იმათ, ვინც ჟურნალებს სეზონობით გამოიწერს კოლექციად, კონტორა აძლევს:

1) უბრალო ტანსაცმელთა კოლექციას: «პარი-მოდ»-ს, „ტუალეტ მოდერ»-ნს და ხალათების რვეულს. ფასი 3 მ., უბრალო მოდის ტანსაცმელთა დამატებითი ფასი 3 მ. 75 კაპეიკია.

2) საერო ტანისამოსის კოლექციას: «შიკ-პარიზიენ»-ს, «ვენის შიკ»-ის და კოფთებისა და კორსაჟების დიდის ზომის დახჭრელებულს ალბომს. ფასი 5 მ.

ორივე კოლექცია ერთად, ღირებული 8 მ. 75 კ., იზგავნება 7 მ. და 50 კაპ.

3) კოლექციას განსაკუთრებით წამოსასხამისას: «ლე გრან კონფექსიონ»-ს და «ვინერ მოდეცეიხნერ»-ს, ორივე დიდის ზომისაა, ფასი 3. 50 კ., სეზონის ჟურნალ «დამსკი პორტნოი»-ის დამატებით, რუსულს ენაზე, ფასი 4 მ. 50 კ., აგრედვე დამატება სეზონის წიგნაკებისა ამორჩევით, ფასი 5 მ 10 კ.

4) კაცების ჟურნალთა კოლექციას: 1 ნომერი ყოველ-თვიურის ჟურნალისა, 1 პანორამა გამოფენისათვის და 1 ჯიბის ალბომი. ფასი 3 მ.; დიდის ალბომის დამატებით—ფასი 5 მ. ცალკე ნომრები ჩამოთვლილ გამოცემათა თითო ცალი 25 კაპეიკით ძვირია.

ყველა ზემოხსენებული ფასები —გაგზავნითაა.

დამზადებულ ტანისამოსით მოვაჭრე მაღაზიებისათვის გვაქვს სეზონის კოლექციები, რომელიც 10 მანეთად ღირს. (2—2)

Дозволено цензурою Тифлисъ 10 мартъ 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе, Рус. базаръ арм. домъ, семинаріи.